საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მემარცხენეობა

„მემარცხენეობა“, ლიტერატურული ჟურნალი, „ფუტურისტ-ლეფელების“ პერიოდული ბეჭდვითი ორგანო. ჟურნალის პირველი ნომერი გამოვიდა თბილისში 1927, მეორე ნომერი – 1928. გამოცემაში იბეჭდებოდა ბ. ჟღენტის, ბ. აბულაძის, დ. გაჩეჩილაძის, შ. ალხაზიშვილის, დ. კაკაბაძის, ვ. ჟურულის, ა. ბელიაშვილის, ლ. ასათიანის, ა. გაწერელიას, მ. კალატოზიშვილის, დ. შენგელაიას, ს. კასრაძის, ს. ჩიქოვანის, ლ. ესაკიას, ს. დოლიძისა და სხვათა ნაწარმოებები. გამოსცემდა სარედაქციო კოლეგია (ბ. ჟღენტი, დ. შენგელაია, ნ. ჩაჩავა).